



კლასტერი – ეკონომიკუს ახალი ფინანსი

**თენის ცაბარეიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკონომიკაში ისეთი ახალი სტრუქტურის ფორმირების საქითხი, რომ კლასტერი არის კლასტერი. მასში ნათქვამია, რომ კლასტერი არის ისეთ საწარმოთა ერთობლიობა, რომელიც თავიანთი ფუნქციებით ავსებენ ერთმანეთს. კლასტერის წევრები მჭიდრო კავშირში და მჭიდრო ურთიერთქმედებაში არიან. მათი ინტერესებიც საერთოა. ამიტომ ეს კავშირი უფრო მტკიცეა და სინერგიული ეფექტის მომტანიც, გიდრე დარგი. კლასტერებმა უნდა შევივლონ დარგები.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია კლასტერის უპირატესობებზე და ჩამოყალიბების პირობებზე. არის მსჯელობა საქართველოში კლასტერების შექმნაში სახელმწიფოს ინიციატივებზე. განსაკუთრებით ხაზგასმულია კლასტერების საჭიროება სოფლის მეურნეობაში და მშენებლობაში.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, ელემენტები, ერთობლიობა, გეოგრაფიული რეგიონი, კონცენტრაცია, მოდელი.

შესავალი

გლობალიზაციამ ეპოქალური მნიშვნელობის პრობლემების წინაშე დაუყენა ეროვნული ეკონომიკები და მათი შემაღებელი ეკონომიკური სუბიექტები. ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას ყველაზე ფუნდამენტური პრობლემა არის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობების მოპოვება. აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის დარგობრივ მოწყობას ამ უპირატესობების შექმნა არც მთლიანად ეროვნული ეკონომიკისთვის შეუძლია და, არც მისი ბიზნეს-სუბიექტებისთვის. ცნობილი მეცნიერები ამ პრობლემის გადაჭრის გზად ეკონომიკაში დარგების ნაცვლად კლასტერების შექმნაში ხედავნ. ამ მიმართულებით მსოფლიოში უკვე აქტიური კვლევები მიმდინარეობს. ბევრგან – იტალია, გერმანია და სხვა ქვეყნები, პარტნიორულადც შეიქმნა კლასტერები. საქართველოში ამ მიმართულებით არც თეორიულ და არც პრაქტიკულ დონეზე არაფერი კეთდება.

1. კლასტერის ზოგად-თეორიული დანართება.

ტერმინი „კლასტერი“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ითარგმნება, როგორც ჯგუფი, მტევნი. მართალია ეკონომიკაში ეს ტერმინი და მისი სახით შექმნილი სტრუქტურა ახალია, მაგრამ სხვა მეცნიერებებში მას

დიდი ხანია, რაც იყენებენ. მაგალითად, ასტრონომები კლასტერს უწოდებენ ვარსკვლავების ჯგუფს, გალაქტიკების ჯგუფს, მუსიკოსები – სიმღერაში მრავალხმიანობას, ქიმიკოსები – ქიმიური შენაერთების კლასს, ლინგვისტები – მონათესავე ენების ჯგუფს და ა. შ.

მაშასადამე, კლასტერი არის რაღაც ელემენტების დაჯგუფება, ერთობლიობა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ნებისმიერი ელემენტი გამოდგება კლასტერის შესაქმნად, რაც ოქმა უნდა არა. ეს ელემენტები ერთმანეთთან უნდა იყონ დაკავშირდებული არსობრივად. ისინი ერთმანეთს უნდა სჭირდებოდნენ, თანაც ერთ არ ეალში უნდა არსებობდნენ.

თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტები აყნებენ საკითხს იმის შესახებ, რომ კლასტერმა ჩანაცვლოს დარგი. ისინი ასაბუთებენ, რომ რადგან დარგი ერთგვაროვან საწარმოთა გაერთიანება, კლასტერი კი ტექნოლოგიურად ურთიერთდაგავშირებულ საწარმოთა გაერთიანება, ამდენად კლასტერში ურთიერთდაპირისპირება არ არსებობს, პირიქით ყველა ისინი საბოლოო შედეგით არიან დაინტერესებულნი და ერთმანეთის მუშაობას მაქსიმალურად უწოდებენ ხელს. მეცნიერები ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ. და აბრალავა თ. თავიანთ წიგნში – „ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა“ სწორედ იმას აღნიშნავენ, რომ „ტექნოლოგიების, ლოჯისტიკის, სატრანსპორტო საშუალებების



ის განვითარებამ გამოიწვია ის, რომ ინფორმაციის გადაცემა, ფულის ნაკადების მოძრაობა პრაქტიკულად წამიერი გახდა, ტვირთის ტრანსპორტირება კი – იაფი და სწრაფი. ამასთან დაკავშირებით, კონკურენტებთან შედარებით უპირატესობების მოპოვებისა და შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება არა მხოლოდ ინოვაცია და განათლება, არამედ საწარმოებს შორის კავშირი, რასაც სწორედაც უზრუნველყოფს „კლასტერი“ [ბარათაშვილი ე., ფარგაშვილი ნ., აბრალავა ო., 2012, გვ. 74]. ასე რომ, კლასტერი საწარმოთა მექანიკური გროვა კი არ არის, არამედ ტექნილოგიურ კავშირში მყოფ საწარმოთა ერთობლიობა, მათი ურთიერთშემავსებელი ჯგუფი.

ეკონომიკაში კლასტერის ცნება პირველად მ. პორტერმა შემოიღო. კლასტერის პორტერისეული განმარტება ასეთია [წმდაშ ჸ., ჸ., 2003, გვ. 57]: „კლასტერი ეს არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალისტების და მომსახურების მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების, შესაბამის დარგებში მომწუშავე ფირმების, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები (მაგალითად, უნივერსიტეტები), რომელებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ იმავდროულად ეწევიან ერთობლივ საქმიანობას“. სწორედ ასეთი ურთიერთქმედება დამატებით მოგებას აძლევს თითოეულ შემადგენელ საწარმოს და სტიმულს აძლევს კლასტერში მათ შემდგომ ფუნქციონირებას.

ეკონომიკის კლასტერული განვითარება ეს არის ბიზნესის განსაზღვრული ინსტრუმენტი. საბაზო ეკონომიკაზე ორიენტირებული საზოგადოება თავის მეურნე სუბიექტებისთვის საქმიანობის წესებს აყალიბებს. მოცემული წესების ფარგლებში არსებული კლასტერი, სხვა არა არის რა, თუ არა განსაზღვრული სახით ორგანიზებული სივრცე, რომელიც წარმატებით განვითარების საშუალებას აძლევს მსხვილ ფირმებს, მცირე საწარმოებს, მომწოდებლებს, კვლევით ცენტრებს და სხვებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ როგორც ამას გვისაბუთებს ნ. ლარიონოვა „კლასტერში უპირველესად მიიღწევა სინერგიული ეფექტი, რადგანაც კონკრეტული საწარმოების მონაწილეობა მასში ურთიერთმომგებიანი ხდება“ [ლარიონოვა ჩ., 2007, №1, გარე 2, გვ. 48].

კლასტერების წარმოშობის სამი მიზეზი არსებობს:

➤ პირველი მიზეზი დაკავშირებულია კომპანიების მიერ ხარჯების ეკონომიკისთან, რომელ-

სოციალური ეპონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრიბლები. №2

იც მიიღწევა მათ მიერ რესურსების საერთო სარგებლობით.

➤ მეორე მიზეზი უკავშირდება ბიზნესისთვის საჭირო საქონლის და მომსახურების გეოგრაფიულ სიახლოებებს, რაც უზრუნველყოფს მიწოდების სისტრაფეს და აქედან გამომდინარე მის სიიაფებს.

➤ მესამე მიზეზი ის არის, რომ ერთ ადგილზე ფირმების კონცენტრაცია ხელს უწყობს ფარული ცოდნის, ანუ იმ ცოდნის და გამოცდილების გავრცელებას, რომლის ფორმალიზება და გადაცემა ადგილი არ არის და, რომელიც მათ მატარებელ ადამიანებთან არის მიჯაჭვული.

კლასტერებისთვის დამახსასიათებელია 12 მახასიათებელი, აქედან 5-ნიშანი განვითარებულ კლასტერებს ახასიათებთ. ესენია:

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა;
2. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოებები;
3. მონაწილეობა ფართო წრე;
4. კლასტერის მონაწილეებს შორის კავშირი და ურთიერთქმედება;
5. კლასტერების განვითარებისთვის პირობების არსებობა.

კლასტერების განვითარების საკანაბო პირობაა მასში კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა. მათ კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმად განიხილება შრომის მწარმოებლურობის შედარებით მაღალი დონე, პროდუქციის და მომსახურების ექსპორტის მაღალი დონე და საერთოდ საქმიანობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები.

მეორე მახასიათებელი – გეოგრაფიული კონცენტრაცია ასევე მნიშვნელოვანი ნიშანია. კლასტერის მონაწილეები ერთმანეთან გეოგრაფიულად ახლოს არიან განლაგებული და აქთ ურთიერთქმედების აქტიური შესაძლებლობა. გეოგრაფიული სიახლოებები იმას, რომ უკელა მონაწილე ერთ ქალაქში არსებობდეს. ისინი ქვეყნის შიგნით უნდა იყვნენ, თუნდაც მის სხვადასხვა რეგიონში.

მესამე მახასიათებელი – მონაწილეობა ფართო წრე იმას გვიჩვენებს, რომ კლასტერში მოხვდეს ყველა საწარმო და დაწესებულება, რომლებიც ერთმანეთს ემსახურებიან ან ნედლეულის მიწოდებით, ან მომსახურების გაწევით, ან ცოდნის გადაცემით და ა. შ. მონაწილეობა რაოდენობა დიმიტირებული არ არის. მათი რიცხვი დამოკიდებულია კლასტერის სპეციალიზაციაზე.

მეორე მაჩვენებელი – კლასტერის მონაწი-



მარკები და მარკინგი

იღეთა შორის კავშირი იმას ნიშნავს, რომ მასში უნდა გაერთიანდნენ მხოლოდ ურთიერთმოსარგებლე თრგანიზაციები. ეს გამოიწვევს სინერგიულ ეფექტს.

მესუთე მაჩვენებლის – კლასტერების განვითარების პირობების არსებობა, – ისე უნდა გავიგოთ, რომ თუ გაოგრაფიულ რეგიონში არ არსებობს გარკვეული პირობები, იქ კლასტერი ვერ შეიქმნება. კერძოდ, საჭიროა ყველანაირი ინფრასტრუქტურის არსებობა – ბანკები, სატრანსპორტო ქსელი, კავშირგაბმულობის ქსელი და სხვა.

2. კლასტერული მოდელები და მათი როლი რეგიონის განვითარებისთვის

რეგიონის ეკონომიკაში კლასტერები ასრულებენ ზრდის პოლუსის როლს. კლასტერების უპირატესობები, ქართველი მეცნიერი ე. სეფაშვილის აზრით, ძირითადად გამოიხატება „საქონლის მწარმოებლების, ნედლეულის მიმწოდებლების და მყიდველების კონცენტრაციაში და ამ გზით დანახარჯების შემცირებაში, განთავსების ტერიტორიის ეფექტურად გამოყენებაში, წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, კერძო და სახელმწიფო სექტორის პარტნიორობაში (ცოდნის გაერთიანებაში), დეპრესიონებული ტერიტორიების განვითარების დაწესარებაში და სხვა“ [სეფაშვილი ე., 2008, გვ. 25].

ამჟამად ცნობილია კლასტერების 6-მოდელი [მესხია ი., გველესიანი ე., 2010, გვ. 106-107]. ესენია:

➤ შოტლანდიური მოდელი (იგი ითვალისწინებს მსხვილი კომპანიის არსებობას, რომელიც გამოდის კლასტერის ბირთვის როლში, რომლის ირგვლივაც ერთიანდებიან სხვა მცირე, საშუალო და მსხვილი ფირმები;

➤ იტალიური მოდელი. იგი გულისხმობს მრავალრიცხოვანი მცირე ფირმების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასოციაციებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. კლასტერების იტალიური მოდელის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იწარმოება არამაღლი ტექნოლოგიური დონის პროდუქცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოთხოვნის ცვალებადობის და დიფერენციაციის მაღალი ხარისხი;

➤ იაპონური მოდელი. იგი გულისხმობს ლიდერი, მასშტაბური მწარმოებელი ფირმის ირგვლივ მიმწოდებელთა ინტეგრაციას. ასეთი მოდელი მისაღებია ტექნოლოგიურად რთული პროდუქციის წარმოების პირობებში ამ შემთხვევაში არამაღლი მაღალი ხარისხის ცვალებადობის და დიფერენციაციის მაღალი ხარისხი;

ვევაში აქცენტი აღებულია მასშტაბურ წარმოებაზე, რომელიც საჭიროებს მაღალ მუდმივ დანახარჯებს და რომელთა ამოგება შესაძლებელია მხოლოდ დიდი რაოდენობით გაყიდვის პირობებში;

➤ ფინური მოდელი გულისხმობს ინოვაციის მაღალ დონეს, რომელიც მიიღწევა მდლაცრი სამეცნიერო გამოკვლევებისა და განვითარებული განათლების სისტემით;

➤ ჩრდილო-ამერიკული მოდელისთვის დამახასიათებელია აშკარად გამოხატული კონკურენცია კლასტერში შემავალ საწარმოთა შორის;

➤ ჩინურ-ინდური მოდელი გულისხმობს კლასტერის ფორმირებაში სახელმწიფოს წამყვან როლს. ამ მოდელით მუშაობისას ძირითადი აქცენტი კეთდება უცხოურ ინვესტიციებზე. ინვესტორების შემოაქვთ თანამედროვე ტექნოლოგიები.

დარგების ეპოლუციის პროცესი ნებისმიერ ქვეყანას, კერძოდ კი საქართველოს, მიიყვანს დარგების დაშლამდე და კლასტერების წარმოქმნამდე. ჩემის აზრით, ჩვენთან სასურველია კლასტერების ფორმირების ჩინურ-ინდური მოდელის გამოყენება, ანუ კლასტერების ფორმირებაში სახელმწიფოს ლიდერობა. საქმე ისაა, რომ ბუნებრივი მიმდინარეობით კლასტერების ჩამოქალიბებას შეიძლება ათეული წლები დასჭირდება. ეს კი მეტად შეავერებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ საქართველოს მთავრობამ თვითონ უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი.

ამ მიმართულებით მეტად მიზანშეწონილია ინოვაციურია კლასტერის შექმნა. აქ მოხდება ახალი იდეების, ტექნოლოგიების და ინოვაციების კონცენტრაცია და გავრცელება მეტად ორგანიზებულად. ასეთი კლასტერი ინოვაციებს გადასცემს ერთი სუბიექტიდან მეორეზე და ამ გზით ანუ ინოვაციური გარღვევებით საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდება. რაც შეეხება კლასტერებს დარგობრივ ჭრილში, ალბათ საქართველოსთვის მისაღებია პირველ რიგში სოფლის მეურნეობის და სამშენებლო კლასტერების განვითარება. სასოფლო-სამეურნეო კლასტერები იმიტომ, რომ საქართველოში ყველა პირობაა სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად, მშენებლობის კლასტერები კი იმიტომ, რომ საქართველოს ქალაქებში დიდი მოთხოვნილებაა სამშენებლო პროდუქციაზე (საცხოვრებელ და კომერციულ ფართობებზე).

სასოფლო კლასტერები თავდაპირველად უნდა გაიხსნას კახეთის და შიდა ქართლის რეგიონებში. მათ შორის კახეთის რეგიონში – მევე



ნახეობა-მედვინეობის კლასტერი, შიდა ქართლ-ში კი მეხილეობა – ხილის წევნების კლასტერი. ორივე ეს რეგიონი დღესვე მზადაა ამისთვის.

რაც შეეხება სამშენებლო კლასტერს, იგი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ქ. თბილისში, ბათუმში და ქუთაისში. ამ ქალაქებში სამშენებლო ორგანიზაციებიც არიან კონცენტრირებული და ინფრასტრუქტურაც არსებობს.

რადგან კლასტერს კავშირი უნდა ქონდეს უნივერსიტეტთან ან კალუვით ინსტიტუტთან, სამივე ამ ქალაქში ეს შესაძლებელია, რადგან სამივეგან არსებობს უნივერსიტეტები.

მსოფლიოში კლასტერების ჩამოყალიბების არც უნივერსალური წესი არსებობს და არც უნივერსალური სტრუქტურა. ამიტომ საქართველოში ჩამოყალიბებულ კლასტერებს შეიძლება განახასხვაგბელი ნიშნებიც ჰქონდეს.

კლასტერი როგორც ახალი ეკონომიკის ახალი სტრუქტურა, მეცნიერ-ეკონომისტებს შორის მდაფრი დისკუსიის საგანია. ამის მიუხედავად, აშკარაა, რომ დღეს ტრადიციული დარგები მოიშალა. დარგი როგორც გაერთიანება, ერთგვაროვან სუბიექტთა ჯგუფი იყო. მშენებლობასთან მიმართებაში ეს იყო სამშენებლო ფირმების გაერთიანება. ასეთ დროს, სამშენებლო ორგანიზაციას გაერთიანება და კავშირი, სჭირდება არა თავის მხგავს ორგანიზაციასთან, არამედ საშენ მასალების და სამშენებლო ტექნიკის მომწოდებლებთან, ბეჭონის და რკინაბეტონის მომწოდებლებთან, ბანკებთან, საპროექტო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ორგანიზაციებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. ასეთ კავშირებს ფრაგმენტულად და ნაბიჯ-ნაბიჯ (საჭიროების მიხედვით) ისინი ამჟარებენ კიდეც. მაგრამ მას არა აქვს სისტემური ხასიათი და ორგანიზებული ფორმა. ამასთან, ასეთი წესით კლასტერების ჩამოყალიბებას წლები დასჭირდება, რაც დააზ-

არალებს ქვეყანას. ამიტომ როგორც უპვე აღვნიშნეთ, მიმართია, რომ ეს პროცესი სახელმწიფო უნდა მართოს. არსებობს მოსაზრება, რომ საბაზრო ეკონომიკის დროს ფირმების საქმიანობაში სახელმწიფო არ უნდა ჩაერთოს. ჩემი აზრით, ქვეყანაში, რომელიც ებლა გადადის საბაზრო ეკონომიკაზე, კერძოდ, საქართველოში, ეკონომიკის რეორგანიზების კარდინალური საკითხები ქვეყნის მთავრობის ინიციატივით უნდა გადაწყდეს. ასეთი საკითხია სწორედ კლასტერების ჩამოყალიბება.

დასტვა

კლასტერის ფენომენს კვლევა და ეკონომიკის კლასტერიზაცია მსოფლიოს რიგ ქვეყნებში უკვე დაიწყო. ეკონომიკაში ისინი შეცვლიან დარგებს, რომლებიც ერთგვაროვან ორგანიზაციათა გაერთიანებებია. მათგან განსხვავებით კლასტერი არის არაერთგვაროვანი, მაგრამ ურთიერთსაჭირო და ურთიერთშემავსებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა გაერთიანება, მასში ერთიანებიან ძირითადი მწარმოებლები, ნედლეულის მომწოდებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კვლევითი და სასწავლო ცენტრები და სხვა. მათი გაერთიანება ხდება განსაზღვრულ გოგრაფიულ რეგიონში.

საქართველოში კლასტერები ჯერჯერობით არ არის შექმნილი. ჩვენი აზრით, საქართველოს მსხვილ ქალაქებში – თბილისში, ბათუმშია და ქუთაისში – უკვე არსებობს სამშენებლო კლასტერების შექმნის ყველა პირობა, ხოლო კახოთის რეგიონი ფაქტურად მზადაა მეცნიერება-მედიცინის კლასტერის ჩამოსაყალიბებლად. მათი დაგანხონება და ერთი მმართველობის და კონტროლის ქვეშ მოქცევა საქართველოს მთავრობის ნებით უნდა მოხდეს.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., აბრა-ლავა თ., 2012, ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა, თბ.

2. Портер М., 2003, Конкуренция, М.

3. Ларионова Н., 2007, Кластерный подход в управлении конкурентоспособности региона, Экономический

вестник Ростовского университета, №1, часть 2.

4. სეფაშვილი ე., 2008, ქვეყნის კონკურენტუნარიზაცია და კლასტერული განვითარების სტრატეგია, თსუ შრომების კრებული, ტ. I.

5. მესხია ი., გველესიანი ე., 2010, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ.



CLUSTER – A NEW PHENOMENON IN ECONOMICS

TENGIZ TSAGAREISHVILI
PhD of GTU

Summary

The term cluster origins form English. It is translated as a group. Although the term and the structure formed by it is a new in economics but in other sciences it has long been used. For instance the astrologists call the cluster group of stars, group of galaxies, musicians - polyphony in singing, chemists - the class of chemical compounds, while linguists – the group of relative languages etc.

Therefore the clusters are the groups, the unity of some elements. However, this should not be understood that any element can be used to create clusters. The elements should be linked to each other by age, need each other, and exist in one area.

Modern scientists raise the issue of clusters to replace the branch. They argue that since the branch is the unity of homogenous enterprises and cluster unity of technologically related enterprises, thus there is no confrontation in clusters, on the contrary, they are interested in the final results and maximally support each other's work. As state the scientists: "Development of technologies, logistics and vehicles caused that the information transfer